ხაშურის მოამბე

№40 (241) 21 ოქტომბერი, ორშაბათი, 2019 წელი

– ხაშურის საჭიდაო სკოლის ტრიუმფი –

უზბეკეთში და ყატარში ხაშურღებმა თავი მსოფლიოს გააცნეს

წლევანდელი წელი ხაშურელი სპორტსმენებისათვის მართლაც წარმატებული გამოდგა. განსაკუთრებით კი მიმდინარე აღმოჩნდა და აგერ, ბოლო კვირაში, ორმა სპორტსმენმა, პედესტალის უმაღლესი საფეხურიდან, მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ ხაშურის საჭიდაო სკოლა განვითარების ძალიან მაღალ ნიშნულზე დგას.

ჯერ იყო და უზბეკეთის დედაქალაქში – ტაშკენტში ისახელეს თავი ჩვენმა ბიჭებმა. გიორგი მეხრიშვილმა(48კგ.), რომელიც ახალგაზრდებში, სამბოში, მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი იყო, შესანიშნავად დაიცვა ტიტული, არცერთ მეტოქეს იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვა და უკვე ორგზის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მართლაც ბრავო, გიორგი! მას, მომავალი წლიდან, უკვე დიდებში უწევს ასპარეზობა და დარწმუნებულნი ვართ, აქაც მრავალ ტიტულს მოიპოვებს. ამას კი მისი შემართება, დაუღალავი შრომა და მიზანსწრაფულობა გვაფიქრებინებს.

ამავე ჩემპიონატში მიხეილ ნოზაძე(82კგ.) ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა, ხოლო ჭაბუკებში ზაურ დვალაშვილმა(81კგ.) ვერცხლის მედალი მოიპოვა, რაც, რა თქმა უნდა, ასევე უდიდესი წარმატებაა, რაშიც მთავარი დამსახურება მთელ სასპორტო სკოლას და მათ მწვრთნელებს – ბუხუტი ბუხრიკიძეს, ბადრი მეხრიშვილს,ბეგლარ ხარშილაძეს, ომარ ლომიძეს და მალხაზ ნოზაძეს მიუძღვით.

პარალელურად, ყატარის დედაქალაქში – დოჰაში – მსოფლიო ქვიშის თამაშებზე თავი კიდევ ერთმა ხაშურემა – დავით ქელეხსაშვილმა ისახელა. იგი 70 კილოგრამ კატეგორიაში ასპარეზობდა და ჯერ აზერბაიჯანელი პანაჰ ილიასლი ჩამოიშორა, შემდეგ მასპინძელი აბდულრაჰმან იბრაჰიმი , მესამე წრეში – ბრაზილიელი ჟოა სანტოსი და მეოთხედფინალში უკრაინელი სემენ რადულოვი. ნახევარფინალში მის პირისპირ ბერძენი ნიკო არუზმანილოსი დადგა და დავითმა ისიც დაამრცხა. ფინალში კი კიდევ ერთი აზერბაიჯანელი დატოვა უშანსოდ. ბრწყინვალე შედეგია.

ერთ კვირაში ორი მსოფლიო ჩემპიონი. ასეთ შედეგს ხაშურისნაირი პატარა ქალაქი კი არა მსოფლიოს ნებისმიერი მეგაპოლისი ინატრებდა. ამიტომაც ვართ ამაყები, ამიტომაც კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას ჩვენს ოქროს ბიჭებს და ვულოცავთ მათაც, მთელ ხაშურსაც და სრულიად საქართველოს ამ წარმატებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში საკანონმდებლო,ადგილობრივი ხელისუფლების და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლების შეხვედრები გაგრძელდა

ნაცარგორაში, ფლევში, ტკოცაში და ქინძათში საქართველოს პარლამენტის წევრები: სიმონ ნოზაძე, ლადო კახაძე,თემურ ხუბულური, შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ამირან ქრისტესაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი,მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე და საკრებულოს დეპუტატი ლაშა ლურსმანაშვილი იმყოფებოდნენ.

შეხვედრებზე მოსახლეობამ გამოჰყო ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც მათი ყოფა–ცხოვრებისთვის ყველაზე პრიორიტეტულია. კერძოდ, სოფელ ნაცარგორაში ადგილობრივებმა გზების მოწესრიგება, სანიაღვრეების მოწყობა და ბუნებრივი აირის მიწოდების პრობლემები დაასახელეს უპირველეს საჭიროებად, ფლევში გზის მოწესრიგება, წყლის სისტემის მოწყობა და ბუნებრივი აირის მიწოდება დაასახელეს მნიშვნელოვნად.

ტკოცაში–გზის და წყლის პრობლემა გამოიკვეთა, ქინძათში კი წყლის პრობლემის მოგვარების საკითხი დადგა.

ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით, მომავალი წლისთვის საჭიროების მქონე სოფლებში ინტენსიურად დაიწყება გზების და წყლის სისტემების მოწესრიგება, ხოლო იქ, სადაც ბუნებრივი აირის

მიწოდება ჯერ კიდევ არ განხორციელებულა, სამუშაოები უახლოეს პერიოდში დასრულდება.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას, ადგილობრივი მოსახლეობის აზრი ყველაზე მნიშვნელოვანია, რათა რესურსი სწორად გადანაწილდეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის № 78 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 13 606.1 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის სახით ირიცხებოდა 1 838,1 ათასი ლარი,.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 23 924,3 ათასი ლარით, რაც 10 318,2 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 18 858,856 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 78,8%-ს შეადგენს.

2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 31.98%-ს (6 001.993 ათას).

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4 870,271 ათასი ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების წილი თანხა შეადგენს 262 328 ათას ლარს. ინფრასტუქტურული პროექტების განსახორციელებლად, კერძოდ აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული იყო ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის, მაგისტრალის, რეზერვუარისა და დასახლებების ჯგუფური მიწოდების სისტემის მოწყობა (პირველი ეტაპი), დაბა სურამში, ჩუმათელეთის დასახლებაში, თამარ მეფის პირველი და მესამე ჩიხების მოასფალტება, სოფელ ვაყაში გზის მოასფალტება, სოფელ ხცისიდან სოფელ კრისხევამდე გზის მოასფალტება, ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე, ავტომაგისტრალის გასწვრივ, ღობეების მოწყობა და სოფელ მცხეთიჯვრიდან სოფელ წაღვლამდე გზის მოასფალტების სამუშაოების განხორციელება. აღნიშნული პროექტებიდან დასრულებულია სამი პროექტი და მიმდინარეობს დარჩენილი პროექტების სამუშაოები. 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულების საფუძველზე, გადარიცხული თანხების საკასო შესრულებამ შეადგინა სულ 3 948,029 ათასი ლარი.

„სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის 557 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 794 046 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების წილი თანხა შეადგენს 104 622 ათას ლარს. ქალაქ ხაშურში მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი კედლების გამაგრება რეაბილიტაციის სამუშაოების და დაბა სურამში მდინარე სურამულაზე მარცხენა სანაპიროს გამაგრების სამუშაოების განსახორციელებლად. 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ქალაქ ხაშურში მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი კედლების გამაგრება რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულებულია და საკასო შესრულებამ შეადგინა 470 837 ლარი.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის 13 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 910 000 ლარი, ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის, სადაც რეაბილიტაცია უკეთდება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 20 სკოლას და 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, საკასო შესრულება შეადგენს 566 543 ლარს, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად 180 868,24 ლარი, სადაც უკვე გაწეულია 63 014 ლარის მომსახურეობა.

„ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის 554 განკარგულების საფუძველზე გამოიყო 182 003 ლარი, რის საფუძველზეც განხორციელდა სოფელ კრისხევის, სოფელ ალის, სოფელ ფლევის, სოფელ ნაბახტევის და სოფელ ცხრამუხის ამბულატორიების რეაბილიტაცია, ხოლო მიმდინარეობს სოფელ წრომის და სოფელ ფლევის ამბულატორიების რეაბილიტაციის სამუშაოები. 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 114 676 ათასი ლარი.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის 45 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 844 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. ხოლო მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების წილი თანხა შეადგენს 224 365 ათას ლარს. 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საკასო შესრულებამ შეადგინა სულ 602 114 ათასი ლარი.

„ხაშურის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე მთავრობის განკარგულების პროექტებიდან ნაშთად არსებული გასული წლის თანხების გაერთიანების საფუძველზე“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის 96 განკარგულების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 495 567 ათასი ლარი, ინფრასტუქტურული პროექტების განსახორციელებლად, კერძოდ აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული იყო ხაშურში, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე, მინისტადიონის და სკვერის მოწყობა, სოფელ ახალსოფელში მინი სტადიონის მოწყობა, ხაშურში, ვეფხვაძეების უბანში, მინისტადიონის მოწყობა, ტაბიძის ქუჩაზე არსებული მინისტადიონის რეაბილიტაცია, სოფელ ტეზერში ამბულატორიის მოწყობა, სოფელ გომში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები.

2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საკასო შესრულებამ შეადგინა სულ 325 668 ათასი ლარი.

2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, გადასახდელების საკასო შესრულებამ 15 853,756 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 66%-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №78 დადგენილებით, დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე. 2019 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, სოფელ ჩორჩანაში გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, გზის სავალი ნაწილის სარეაბილიტაციო აღდგენითი სამუშაოებში მონაწილე პერსონალის კვებითი მომსახურეობის უზრუნველყოფისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 11 თებერვლის №540 ბრძანების საფუძველზე, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 1,0 ათასი ლარი , ხოლო 2019 წლის 11 აპრილის 870 ბრძანების საფუძველზე, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის გამოიყო 4,0 ათასი ლარი.

ლელა მაჭარაშვილი,
მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის
დროებითი მოვალეობის შემსრულებელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2019 წლის მე-3 კვარტალში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) გაწეული მუშაობის ანგარიში

2019 წლის მესამე კვარტალში სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესით სასამართლოში წარიმართა საქმეები, რომლებშიც ხაშურის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იყო როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის სახით (მომზადებული იქნა სარჩელები და შესაგებლები). სხვადასხვა ინსტანციების სასამართლოებში. ამასთანავე, სხვადასხვა სამართალდამცავ ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე (4 საქმე) სამსახური ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და მერიის კანონიერი ინტერესების დაცვას.

საანგარიშო პერიოდში, სასამართლო წარმოებაში იყო 22 საქმე, საიდანაც 15 ადმინისტრაციული სამართალწარმოების და 7 სამოქალაქო სამართალწარმოების იყო, გარდა ამისა, იყო 1 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმე. სასამართლო წარმოებაში არსებული 22 საქმიდან 3 დასრულდა, აქედან სამივე ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმე, მათგან 2 საქმე შევიდა კანონიერ ძალაში. აღნიშნული 3 საქმიდან 2 მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გადაწყდა, ხოლო ერთი საქმე დასრულდა მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ. 2019 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, სასამართლოში მიმდინარეობს განხილვა 19 საქმეზე, 6 – სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო 13 – ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, მათ შორის 12 საქმე არის პირველ ინსტანციაში, 5 – სააპელაციო სასამართლოში, ხოლო 2 – უზენაეს სასამართლოში. ამავდროულად, მერია ჩართულია მესამე პირად 3 საქმეზე, 2 ადმინისტრაციული და 1 სამოქალაქო სამართალწარმოების საქმეზე, სადაც წარმომადგენლობას ახორციელებს იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნული საქმეებიდან 2 საქმეზე სამართალწარმოება დასრულდა, მათგან ერთი შევიდა კანონიერ ძალაში.

ამასთანავე, მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურმა სამართლებრივი დახმარება გაუწია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 1971 მუხლით (სამხედრო ვალდებულების მოხდისთვის თავის არიდების მიზნით სამხედრო სავალდებულო სამსახურ-

(დასასრული III გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2019 წლის მე-3 კვარტალში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) გაწეული მუშაობის ანგარიში

(დასასრული)

ში გამწვევ კომისიაში გამოუცხადებლობა) გათვალისწინებული სამართალდამრღვევთა მიმართებაში. ასევე, მიმდინარე პერიოდში, ზედამხედველობის სამსახურის მიერ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 43-ე (უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება) და 45-ე (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) მუხლების დარღვევების გამო, 11 ფაქტზე მოხდა შესაბამისი რეაგირება (დაჯარიმება), სადაც იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაწეული იქნა შესაბამისი სამართლებრივი დახმარება.

პარალელურ რეჟიმში, სამსახურის მიერ, მუდმივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურის მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, შემოსული კორესპონდენციის ვიზირება და პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, სამართლებრივი დასკვნების მომზადება. საანგარიშო პერიოდში, იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ეკონომიკური განვითარების, განათლების, კულტურის და სპორტის და საბიუჯეტო სამსახურებიდან შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე, გაცემულია 25 დასკვნა, რომელიც ეხებოდა მერიის სამსახურების კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხებს.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების პროცესში. სამსახურის მიერ მუდმივად ხდება მუნიციპალიტეტისათვის მომართულ მოქალაქეთათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა, როგორც წერილობითი ფორმით, ასევე – ზეპირად. საანგარიშო პერიოდში, სამსახური უზრუნველყოფდა წარმომადგენლობას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში.

სამსახური ჩართულია მერიაში შექმნილი კომისიების (დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში შექმნილ) და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, მათ შორის:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია";
2. „მოქალაქეობის დადგენის მიზნით პირის ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია";
3. "ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი";
4. „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია";
5. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების შესაძლებლობის, მიზანშეწონილობისა და მოცულობის განმსაზღვრელი კომისია;
6. ხაშურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია;
7. ზედამხედველობის სამსახურში კომპეტენციით მიკუთვნებული საკითხების შესწავლისა და განხილვის სამუსაო ჯგუფი;
8. მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური, მერიის ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად, ჩართული იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წლის 26 ივნისს გამოცხადებული კონკურსის ორგანიზებაში. კონკურსი გამოცხადებული იყო მერიის საშტატო განრიგით განსაზღვრულ 4 პოზიციაზე, მათ შორის: პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის მესამე რანგის მეორე და მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტების; მერის წარმომადგენელი სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის და მერის წარმომადგენელი ცოცხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის პოზიციებზე. კონკურსის შედეგად, კანდიდატები დაინიშნენ პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის და მერის წარმომადგენელი ცოცხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობებზე.

მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებების პარალელურად და სამსახურებრივი საქმიანობის სპეციფიკიდან და სტატისტიკიდან გამომდინარე, სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებში, მერიის დებულებასა და მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების დებულებებში ცვლილებების შეტანას, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების შემუშავებას და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

დავით ღვალაძე,
იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელი

სურამის ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება და გაწმენდის პროცესი დაიწყო

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და დაფინანსებით, სურამის ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და გაწმენდის პროცესი დაიწყო. მიმდინარე სამუშაოები მიზნად საანგარიშო ინფორმაციის მიღებას ითვალისწინებს, რომლის საფუძველზე, მომდევნო წლისთვის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კომპლექსური რეაბილიტაციის პროექტი მომზადდება. სამუშაოებში, რომელსაც „არქეოლოგიის განვითარების ფონდი" ახორციელებს, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტებიც არიან ჩართულნი.

წინასარეაბილიტაციო ეტაპზე, გაწმენდისა და არქეოლოგიური კვლევის პროცესი ციხის შიდა ტერიტორიის 1000 კვ/მ ფართობზე მიწის 50 სმ-იანი ფენის (ჰუმუსის) მოხსნას ითვალისწინებს. პრეპარაციის საფუძველზე მოხდება კომპლექსის სამხრეთ გალავანთან არსებული სათავსოს არქეოლოგიური შესწავლა. გაიწმინდება ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სასახლე და ციხის ჩრდილოეთი მდებარე კოშკი. გამოვლენილი ობიექტების (უძრავი და მოძრავი) შესახებ ინფორმაცია აიტვირთება სააგენტოს "კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში", რაც ახლადგამოვლენილი ობიექტების ინფორმაციის, შესწავლილი ტერიტორიის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევის მასალების, ტერიტორიაზე მოპოვებული პირველადი ინფორმაციის საარქივო მონაცემებთან მიმართების ანალიზის, არქოლოგიური ობიექტების რუქაზე განთავსების სქემას, ანოტაციების თანხლებით ფოტო საილუსტრაციო მასალისა და გრაფიკული მონაცემების სისტემაში ინტეგრირებას მოიცავს.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების სამუშაოების ღირებულება 30000 ლარია. სურამის ციხეზე გამწვდითი სამუშაოები თვის ბოლომდე გაგრძელდება.

სურამის ციხეზე დაწყებული წინასარეაბილიტაციო პროცესი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა - ნიკოლოზ ანთიძემ შიდა ქართლის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულთან - გიორგი ხოჯევანიშვილთან ერთად მოინახულა.

სურამის ციხე მდებარეობს დაბა სურამის ჩრდილოეთ ნაწილში, მდინარე სურამულის მარცხენა ნაპირზე, კლდოვან გორაკზე. ციხე მნიშვნელოვანია როგორც ისტორიული და მონუმენტური ხელოვნების ნიმუში. ციხესიმაგრე სხვადასხვა ნაგებობათა კომპლექსია. მასში შედის: გალავანი, ციხე, წმინდა გიორგის ეკლესია და სასახლე. ციხის ფართობია 1200 მ . იგი შედგება ორი ნაწილისაგან: შიდა ციხისა (ციტადელი) და ქვედა ეზოსაგან.

XVI-XVIII საუკუნეების განმავლობაში, სურამის ციხე ოსმალეთისა და სპარსეთის ინტერესების სფეროს წარმოადგენდა. საფორტიფიკაციო ნაგებობა ქართველთა მფლობელობაში 1783 წლამდე იყო. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში სურამის ციხე ზემო ქართლში ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორპოსტს წარმოადგენდა. 1829 წელს, რუსეთის იმპერიის მიერ, ახალცხის მხარის შემოერთების შემდეგ, სურამის ციხემ თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

ციხის წმინდა გიორგის ეკლესია აგებული იყო XI-XII საუკუნეებში. 1991 წლის აპრილის მიწისძვრამ ის მნიშვნელოვნად დააზიანა. ჩამოიქცა მისი გადახურვა და განადგურდა შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტები. ციხის სასახლე ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ მისი ორი სართულის ნანგრევები.

მიხეილ ქავთარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

12 ოქტომბერს, ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში, გაიმართა დიდი ქართველი მეცნიერის-მიხეილ ქავთარიას 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორი ხაშურის სამუზეუმო გაერთიანება იყო. კონფერენციაზე, მოწვეულმა მეცნიერებმა, კოლეგებმა, სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომლებმა ძალზე საინტერესო სამეცნიერო ნაშრომები წარადგინეს. პარალელურად, მათ კიდევ ერთხელ გაიხსენეს დიდი მამულიშვილი, რომლის ღვაწლი ქართული ლიტერატურის კვლევაში განუზომელია. კონფერენციის ბოლოს, მოწვეულმა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომლებს, რომლებიც არ ივიწყებენ მიხეილ ქავთარიას დამსახურებას სამშობლოს წინაშე, რაც მისადმი მიძღვნილ, ასეთი მაღალი დონის სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებაშიც გამოიხატა.

მადლისმქნელი

ჭეშმარიტი კაცობა
არქონა ცოდვისა კი არ არის,
არამედ ქონაა მადლისა...
/ილია ჭავჭავაძე/

„...რადგანაც მადლია, ამიტომაც გულთა მიმზიდველია, გამსჭვალულია გაოცებამდე, გაკვირვებამდე. ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც კი გრძნობს, თუმცა არა ჰხედავს, - ეს სიტყვები დიდიმა ილიამ დიმიტრი ყიფიანზე ბრძანა, მაგრამ თავს უფლება მივეცი, აქ ჩემს პატარა წერილში გამომეყენებინა ჩვენი დიდი მამულიშვილს, საზოგადო მოღვაწის, ხაშურის საპატიო მოქალაქის „დიმიტრი ყიფიანის სამუზეუმო მედლის მფლობელის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მიხეილ ქავთარიას მიმართ... მახსოვს და მუდამ მემახსოვრება მისი გაბრწყინებული სახე, თბილი, მამაშვილური დამოკიდებულება თითოეული მუზეუმისადმი... ვმადლობ უფალს, რომ მისი სახელობის კაბინეტში ვსაქმიანობ და ყოველდღე ვეხები მის ნაშრომებს, მისდამი ნაჩუქარ სამეცნიერო ფილოლოგიურ თუ ისტორიულ ლიტერატურას, რომელიც დავანებულია მის მიერ ჩვენდამი გადმოცემულ უნიკალურ ბიბლიოთეკაში.

„როგორც მეცნიერი, - წერენ ხელნაწერთა ცენტრის თანამშრომლები (მათ მიერ გამოცემულ საიუბილეო კრებულში), - იშვიათი გამონაკლისია იმ თვალსაზრისით, რომ იგი ერთნაირად ფლობს ქართულ მწერლობას და ამასთანავე საქართველოს ისტორიის საკითხებს... მისი სამუშაო ოთახის კარი თითქმის ყოველთვის ღიაა, არ იხურება, რადგან დღის განმავლობაში, მუშაობის პროცესში ყველას უჩნდება შეკითხვა... ბატონი მიხეილიც უსაყვედუროდ, უშურველად, ერთგულად იძლევა ნებისმიერ საკითხზე ამომწურავ პასუხს, რჩევას, იგი არ იღლება, ასეთი ურთიერთობები უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს მას”... „იგი ხომ აზრის ცირკულაციის, კომუნიკაციის უბადლო განმასახიერებელია”,- ბრძანებს პროფესორი გიორგი გაჩეჩილაძე.

მისი სახელობის ბიბლიოთეკა მდიდარია ავტოგრაფიანი წიგნებით, რომელსაც მას ჩუქნიდნენ ცნობილი მეცნიერები, მწერლები, ღვაწლმოსილი ადამიანები: კორნელი კეკელიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ილია აბულაძე, მზექალა შანიძე, ლევან მენაბდე, მარიამ ლორთქიფანიძე, ენრიკო გაბიძაშვილი, ელენე მეტრეველი, ელენე მაჭავარიანი, გურამ შარაძე, ბაბო დადიანი, თამაზ ჯოლოგუა, მიხეილ რეხვიაშვილი, ოთარ ბაქანიძე, იაკობ მანსვეტაშვილი, აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ იმნაიშვილი, იზა ორჯონიკიძე, ლელა ხაჩიძე და სხვა უამრავი (ყველა ეს გამოცემა უნიკალურია):

კორნელი კეკელიძე – „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. VIII, თბ. 1962წ.
„ძმაო მიშიკო!
შენი საყვარელი ბიძია კორნელის სახსოვრად მიიღე ეს წიგნი.“
კოტე და ილო კეკელიძეები.
8.X.62წ.

თამაზ გამყრელიძე – „რჩეული წერილები და გამოკვლევები“, 2014 წ.
„ბატონ მიხეილ ქავთარიას,
ავტორისაგან დიდის პატივისცემით მორთმეული“.
2015წ.2013წ“.

მზექალა შანიძე – „ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი“, 1990წ.
„ჩემს მიშას – ჩემს მუდმივ მრჩეველს“.
მზექალა 7.VII.90წ“.

მზექალა შანიძე – „ქართული ფსალმუნის სიმფონია,“ 2010წ.
„მიშას ჩემს ძმას და გაჭირვების ტალკვესს, სიყვარულით მზექალა“.
15 თებერვალს 2011წ“.

თამაზ ჯოლოგუა – „დიმიტრი ყიფიანის ორი საისტორიო თხზულება“.
„ბ-ნ მიშას პატივისცემითა და სიყვარულით“
თამაზ ჯოლოგუა. 12/VI-2016წ.“

თამაზ ჯოლოგუა – „საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი“ II. 2007წ.
„ბ-ნ მიშას ღრმა და გულწრფელი პატივისცემით, სიყვარულით“.
თ. ჯოლოგუა“.

გურამ შარაძე – „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ - I
„ძვირფას მიშა ქავთარიას“
ღრმა პატივისცემით, ავტორი.“.

რევაზ ბარამიძე – „ქართული საისტორიო და ისტორიული პროზა“, 1979 წ.
„ჩემს მიშას და ლულუს”.

ოთარ ბაქანიძე – „პრომეთეს მემკვიდრეს“, 2014 წ.
„ჩემს სიყრმის მეგობარს, თანაკურსელს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ძველებური სიყვრულითა და პატივისცემით.”

დევი ბერძენიშვილი – „ნარკვევები (სამხრეთ საქართველოს შესახებ) “.
„ძვირფას მიშას საუკეთესო სურვილებით“.
დ. ბერძენიშვილი“.

ჯემალ გამასარია – „წმინდა აღმსარებელი (ამბროსი ხელაია),“2012 წ.
„შესანიშნავ მეცნიერს, ბ-ნ მიხეილ ქავთარიას,
უღრმესი პატივისცემით. 2013წ.”
ვახტანგ გურული – „ილია“ (მონოგრაფია)
,,უღრმესი პატივისცემით. 2014 წ“.

გიორგი კალანდაძე – „ბიბლიის ლექსიკონი“
I – II – III ტ. 2013წ.
,,ბატონ მიშას, სიყვარულით და პატივისცემით“.

ენრიკო გაბიძაშვილი – „ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია .“
„ძვირფას მეგობარს ლულუს და მიხეილს 2004წ.”
იოსებ ბიჭიკაშვილი - „ბაგრატიონები” 2016 წ.
„ბატონ მიხეილ, უდიდესი პატივისცემით ავტორისგან“.
16.12.2016წ“.

ავთანდილ იოსელიანი – „ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები“ 25.12.1990წ“„ძვირფას მეგობარს, დიდად პატივცემულ მკვლევარ-მეცნიერს ბატონ მიხეილს კეთილ-სახსოვრად ვუძღვნი ამ მცირედ ნაშრომს“.
ავტორი“.

ვახტანგ იმნაიშვილი - „არდავიწყება მოყვრისა (ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ეპისტოლარული მემკვიდრეობაა“
„მიშა ქავთარიას
სიყვარულით, პატივისცემით და კეთილი სურვილებით“.
ვ. იმნაიშვილი, 14.12.2006 წ“.

აკაკი მათიაშვილი - „აკრიანი-მარტყოფი“ . 2000 წ.
ჩემს ერთგულ მეგობარს, დიდებულ მამულიშვილს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, მიხეილ ქავთარიას, დიდი სიყვარულით ავტორისაგან“.
14.05.2000 წ“.

რევაზ კვერენჩხილაძე - „მწერალი და ცხოვრება,“ 2016 წ.
„ჩემს ძვირფას საამაყო თანაკურსელს, ქართული მწერლობისა და ქართული საქმის ერთგულ სამსახურში სანაქებოდ მოღვაწე მიხეილ ქავთარიას. ეს წიგნი და ჩემი პატივისცემა, ძმური სიყვარულით!“
რ. კვერენჩხილაძე, 2016 წ.18.04“.

ლიანა კვირიკაშვილი - „დღესასწაული - მეცნიერება და სახოტბო პოეზია (ჰიმნოგრაფია)“. 2008 წ.
„ბატონ მიშას, ჰიმნოლოგიის სიმაღლეთ სიწმინდის მკვლევარს, მორიდებით და პატივისცემით“,
ლიანა და ჯემალ კვირიკაშვილები,
24.12.2008 წ“.



ლელა შათირიშვილი - „ბასილი ანკვირიელი“ და მისი თხზულების ქართული თარგმანი, 2016 წ.
„ჩემს მოამაგეს, ბატონ მიშას, საუკეთესო სურვილებით“,
ლელა, 16.03.2017 წ“.

ლევან მენაბდე - „ძველი ქართული მწერლობის კერები“ II, 1980 წ..
„ძვირფას მიშას
სიყვარულითა და პატივისცემით“.
01.09. 80 წ. ლ. მენაბდე“.

გურამ კარტოზია - „ტექსტოლოგიური გამოკვლევები,“ 2004 წ.
„ძვირფას მიშას,
ძმური სიყვარულით, პატივისცემით, საუკეთესო სურვილებით“.
გურამი, 31.10. 2004 წ“.

იაკობ მანსვეტაშვილი - „ქართული მემორიალური ლიტერატურა, მოგონებანი“, 2006 წ.
„პატივისცემით მიხეილ ქავთარიას შემდგენელ გამომცემლისგან“
23.07.2009 წ, დ. ცერცვაძე

„დღიდან გახსნისა დღემდე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ამშვენებს და ამდიდრებს თქვენი ხელწერა“.

მარიამ ლორთქიფანიძე -„ რჩეული ნაწერები,“ წიგნი I, 2016 წ.
„ბატონ მიშას, პატივისცემით“.

აპოლონ სილაგაძე - „ყურანი“ (თარგმანი და კომენტარები), 2002 წ.
„ძვ. მიშიკო ქავთარიას“.

ლელა ხაჩიძე - „ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან“, 2000 წ.
„ბატონ მიხეილს,
დიდი პატივისცემით და სიყვარულით“.
ლელასგან, 27.04.2008 წ“

თამარ ბარბაქაძე - „ქართული ლექსთმცოდნეობა და სხვა,“ 2006 წ.
„ბატონ მიხეილ ქავთარიას, დიდი სიყვარულით უამრავი კეთილი სურვილით“.
თქვენი თამარ ბარბაქაძე, 2006, 21.12.

გოჩა ჯაფარიძე - „საქართველო და ეგვიპტის მამლუქები“.
„ბატონ მიხეილ ქავთარიას, ურღრმესი პატივისცემით“,
გოჩა ჯაფარიძე, 8.11. 2016 წ“.

ვახტანგ გოილაძე - „მიწის ენა მრუდე სარკეში,“ 2007 წ.
„ჩვენს საუკეთესო მეგობარს, შესანიშნავ მეცნიერსა და მამულიშვილს, ბატონ მიხეილ ქავთარიას“.
დიდი სიყვარულით, 2007 წ“.

რევაზ ხვედელიძე - „თარგმანისა და ლიტერატურული ურთერთობების საკითხები,“ 2015 წ.
„ბატონ მიხეილ ქავთარიას, დიდი პატივისცემით“.

ფარნაოზ ლომაშვილი - „წინ ჯავახიშვილისკენ - ქართული ცივილიზაცია,“
3000 წ.ი.წ. 2016 წ.“
„ჩემს მიშას ძმური სიყვარულით“.
28.10 16 წ“.

იზა ორჯონიკიძე -„რომაული არდადაგები“, 2005.
„მიხო, ძალიან მინდა, დიდხანს იყო ამ ქვეყნად,
გკოცნი“.
იზა, 17.11.2006 წ“.

ბატონი მიხეილის გარდაცვალების შემდეგ უფრო მეტად გამოიკვეთა დიდი მეცნიერის პორტრეტი - შემკული ძვირფასი თვალმარგალიტებით. ასეთი ადამიანები უძეგლოდ არ იკარგებიან - გამორჩეულმა ღვაწლმა და ადამიანურმა ურთიერთოიბებმა მას ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა - ძეგლი სიყვარულისა.

მაყვალა ხაჩიძე

- სოფლის მეურნეობა -

აი, რა შეუძლია შრომას, აი, რა შეუძლია თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებას

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო წლებში, ჩვენს ქვეყანაში მოწუწუნე ადამიანები უფრო ჭარბობენ, ვიდრე მომავალს იმედით შემყურენი. ისეთმა ნიჰილიზმმა დარია ბევრს ხელი, რომ ადარც შრომა უნდათ და ადარც გარჯა. სოფლის "ბირჟებზე" უაზროდ მდგარნი, წამითაც არ ნერვიულობენ, რომ მათ მამაპაპეულ მიწებზე ჭანგა და სხვა სარეველები

პატარა ნუკი ჯერ მოსწავლეა, მაგრამ არ გაგვიკვირდება თუ მამის კვალს გაჰყვება და სოფლის მეურნეობით დაინტერესდება.

მეფობენ და მიტოვებული ნაკვეთების დარდი გულთანაც არ მიაქვთ. არადა, შრომის გარეშე ხვალინდელი დღეც დაბინდულია და ტაძრის გზაც ბალახით დაიფარება.

საბედნიეროდ, სხვაგვარად მაფიქრალი ხალხიც არ ელევა ჩვენს ქვეყანას. ადამიანები, რომელთა მაგალითზეც უნდა დაფუძნდეს ქვეყნის მომავალი და რომლებიც იმ მანათობელ შუქურას ჰგავნან, ხსნა რომ მოაქვთ.

ფერმერი ზაზა სუხიაშვილი ორი წლის წინ გავაცანით ჩვენს მკითხველს, მაშინ, ეს ენერგიით სავსე და ქვეყნის სატკივარზე მოფიქრალი კაცი ჯერ მხოლოდ იწყებდა დიდ საქმეს, მაგრამ იმდენი ენთუზიაზმი იდო მასში, ისეთი გულანთებული აპირებდა სიმაღლეზე ასვლას, ეჭვიც არ გაგვჩენია, რომ დასახულ მიზანს მიაღწევდა.

მიაღწია და მერე როგორ!

როდესაც ტეზრისა და ქვიშხეთის საზღვართან მისი ვაშლის ბაღი ვიხილე, სიმართლე გითხრათ, კარგა ხანი დამჭირდა "გონზე მოსვლა" და დაჯერება, რომ რეალობაში ვიყავი და ასეთი რამ ნამდვილად ხდებოდა. თუ არ ნახავ კაცი, როგორი დასაჯერებელია, რომ ერთი პატარა, ადამიანის სიმაღლე ხეს შეუძლია 80 თუ 100 კგ ვაშლის მოსხმა. ერთი შეხედვით, ხე არც ჩანს და კრიალოსანივით ასხმული ლოყაწითელი ვაშლები, თითქოს, ჰაერშია გამოკიდებული და მხოლოდ ფოთლებით ხვდები, რომ სადღაც

ალბათ ხეცაა. მერე, ქვეცნობიერად, ისეთ ძირს ეძებ, მთლად "ჩვენებურად" რომ გამოიყურება და აქა-იქ ასხია ვაშლი. აჰ, არაფერი გეტკინოთ!. ერთ ჰექტარზე გაშლილ ბაღში, ერთ ძირსაც ვერ ნახავთ ასეთს. თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ეს დალოცვილები, გადარეულან და მხოლოდ იმას ითხოვენ-ტოტებზე რამე საბიჯგი შემიყუდე, თორემ გავწყდი წელშიო... სამოთხის ბაღის ხილვით ჯერ მოკვდავებიდან არავინ გაბედნიერებულა, მაგრამ რადაც მსგავსი იქნება ალბათ.

თავი დავანებოთ მხატვრულ გადახვევებს, თუმცა ასეთი დოვლათის

სტუმრად „მომავლის სახლის" ბავშვებთან.

შემხედვარე, რადაცნაირად, შენც სიამაყით ივსები და, რაც მთავარია, რწმუნდები, რომ ჩვენს ქვეყანას მომავალი აქვს. მომავალი, სადაც ასეთი გამრჯე, კრეატიული, ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული ადამიანები სასწაულებს მოახდენენ. ასეთი კაცია სწორედ ბატონი ზაზა, რომელმაც შესანიშნავად გამოიყენა სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამები-არც სწავლა დაზარებია, არც შრომა და შედეგიც სახეზეა. არც ამაზე ჩერდება-ამ ბაღის მიმდებარედ ბლის ბაღის გააშენა, გაისად უკვე პირველ ნიშანს ელოდება და მისი ენერგიულობიდან და პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, წარმომიდგენია, როგორი იქნება ეს ბაღი ორ-სამ წელიწადში-ღმერთმაც ხელი მოუმართოს და მოუმართავს კიდეც, რადგან ქვეყნისთვის გაკეთებულ სიკეთეს უფალი ყოველთვის ხედავს.

და ერთიც: სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, ვაშლის რა რაოდენობა ითვლება ერთ ჰექტარზე რეკორდულ მოსავლად, მაგრამ რაც იქ ვნახე, ალბათ, ყველა რეკორდს გაახუნებდა. ყოველ შემთხვევაში, 60 ტონას რომ გაცდება, ფაქტია.

P.S. ბატონი ზაზა დიდი ქველმოქმედია, ეს მისი ცხოვრების წესია.

იმ დღესაც, იგი ჩვენთან ერთად ესტუმრა „მომავლის სახლს", სადაც შშმ ბავშვები არიან და თავისი ხელით მოწეული ხილით დაასაჩუქრა და ფინანსური მხარდაჭერაც გაუწია.

გ. გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, ბეკმისა და გვერდისუბნის დასახლებებში გზის მოასფალტების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

15 ოქტომბერს, ადგილზე იმყოფებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი, ეკონომიკის სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი. მათი განმარტებით, აღნიშნული პროექტით 1500- ზე მეტი ადგილობრივი მოსახლე და დამსვენებელი ისარგებლებს, რაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს.

პროექტი ორწლიანია, მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ჯამში 960 555 ლარს ითვლის.



-ახალგაზრდა ბიზნესმენები -

მაისურაძეების "მაისუ" ბაზარს ნელ-ნელა იპყრობს

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, დღევანდელი მონაცემებით, უფრო მეტი ქალია ჩართული მცირე და საშუალო ბიზნესში, ვიდრე მამაკაცი და ვიდრე ეს იყო რამდენიმე წლის უკან. დღესაც ნაჭრის ჩანთების მცირე, დამწყები ბიზნესის წარმომადგენელი გოგონები მინდა გაგაცნოთ ნაბახტევიდან, რომლებმაც გადაწყვიტეს, სწავლას და სამსახურს, სხვა, დამატებითი საქმეს შეუთავსონ. მანჩო, მარიამი და ნინი მაისურაძეები დები არიან, მათთან ერთად, მათი მამიდაშვილი ნინოც ჩაერთო საქმეში და უკვე რამდენიმე თვეა, როგორც ამბობენ, სამყაროს აფერადებს მათი ჩანთები და განწყობას უქმნის. თუ როგორ დაიწყეს, განვითარდნენ და რა გეგმები აქვთ, ამ თემებზე გოგონებს ვესაუბრე:

- საიდან გაჩნდა იდეა?

მანჩო:

–რეალურად, ფული გვჭირდებოდა მოგზაურობებისთვის და გადავწყვიტეთ, რამე საქმე დაგვეწყო, რომელიც საშუალებას მოგვცემდა დამატებითი შემოსავალი მიგვეღო. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები ვიყავით და პარალელურად, ვმუშაობდით კიდეც, დავიწყეთ ფიქრი, იმ მცირე ფინანსური რესურსით, რაც გვქონდა, რაიმე მარტივი და ამავდროულად, მოთხოვნადი პროდუქტის შექმნაზე გვეფიქრა.

მარიამი:

–მინდოდა რაიმე ფერადი და მხიარული შემექმნა , ისეთი რამ, რაც შეიძლება ყველამ გამოიყენოს და ყველას ჰქონდეს ასაკის მიუხედავად და ქუჩაში სიარულის დროს ბევრ ჩვენს მიერ შექმნილ ნივთს შევხვდებოდი და ხელმისაწვდომიც იქნებოდა.

- რატომ გააკეთეთ არჩევანი ჩანთებზე?

მარიამი:

–რამდენიმე იდეა გვქონდა, თუმცა საბოლოოდ ჩანთებზე შევჩერდით . „თოუთ ბეგები" საკმაოდ პოპულარულია ევროპასა და ამერიკაში თინეიჯერებისა და სტუდენტებისთვის, ბოლო დროს საქართველოშიც საკმაოდ პოპულარობით სარგებლოს. როდესაც ვფიქრობდით, რა არის ნივთი, რომელსაც სულ ვიყენებთ და სულ თან დაგვაქვს, მივხვდით, რომ ესაა -„ჩანთა" . სადაც არ უნდა მიდიოდე, აუცილებლად გჭირდება ჩანთა სხვადასხვა ნივთის თან წასაღებად, მოკლედ, ჩვენი განუყოფელი ნაწილია. ამიტომაც, არჩევანი შევაჩერეთ ნაჭრის ჩანთებზე, რადგან იგი არის საკმაოდ კომფორტული, ტრენდულიც და ხელმისაწვდომიც, ჩვენს შემთხვევაში მხიარული და ფერადი.

- რამდენი ადამიანი ხართ ჩართული, როგორ შეიკრიბეთ?

მანჩო:

–შეკრება არ გაგვჭირვებია, რადგან დები და მამიდაშვილები ვართ, ასე ვთქვათ, პატარა ოჯახური ბიზნესია. ამ დროისთვის "მაისუს" გუნდი აერთიანებს 4 ადამიანს.

მარიამი, ძიარითდად პასუხისმგებელია მასალების შესყიდვა - მომარაგებაზე, ასევე მარკეტინგი მთლიანად მის პასუხისმგებლობაშია .

ნინო და მე,რომლებიც უშუალოდ ვქმნით პროდუქტს და ვანებივრებთ მომხმარებლებს სხვადასხვა ლამაზი ჩანთებით,ასევე აქტიურად ვართ ჩრთულები მასალების შესყიდვის პროცესში. ნინი - გვეხმარება პროდუქტის მომხმარებლისთვის მიწოდებაში. სწორედ ისაა ადამიანი, რომელიც უშუალოდ ხვდება ჩვენს მომხმარებელს.

უნდა აღინიშნოს,რომ "მაისუს" ფეისბუქ გვერდის მხიარული პოსტები და ფოტოები სწორედ მე და ნინის გვეკუთვნის.

- რა რესურსით დაიწყეთ თავდაპირველად?

მარიამი:

–საწყისი ინვესტიცია იყო დაახლოებით 500 ლარი და საკერავი მანქანა, რომელიც ჩემი ხელფასი და ნინოს საქორწინო საჩუქარია. მე მოვედი გარკვეული თანხით და ბევრი იდეით. გამოვიყენეთ ნინოს საკერავი მანქანა, რომელიც მეუღლემ აჩუქა და დავიწყეთ სამყაროს გაფერადება. სწორედ ეს იყო მიზანი, რომ რაც შეიძლება ნაკლები თანხით მოგვესინჯა ძალები. ბოლომდე გარისკვაც არ გვინდოდა, რადგან, როგორც აღვნიშნე, ბაზარი უკვე ათვისებულია ამ მხრივ.

- პირველი ჩანთა და პირველი შეკვეთა თუ გახსოვთ?

მანჩო:

–პირველი იყო იასამნისფერი ჩანთა, ხოლო პირველი მომხმარებელი ია, რომელმაც მეგობარს უყიდა ჩვენი ჩანთა დაბადების დღის საჩუქრად. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პირველი სოც. მომხმარებელი იყო ხაშურიდან, რომელმაც შეიძინა "მაისუს" ულამაზესი შავი ჩანთა.

- რითია გამორჩეული თქვენი ჩანთები და ფასები რამდენად მისაღებია მომხმარებლისთვის?

მარიამი:

–დღეს ბაზარზე ბევრი მსგავსი პროდუქტია , თუმცა ვფიქრობთ, რომ "მაისუ" გამოირჩევა თავისი ხასიათით , ეს არაა მხოლოდ ფერადი ნაჭრის ჩანთა , ესაა ხასიათი და განწყობა . როდესაც "მაისუს" ჩანთას ატარებ, შენც ისეთივე მხიარული და ფერადი ხდები, როგორიც ისაა . ჩვენ არ ვქმნით მხოლოდ ჩანთას ,ჩვენ ვცდილობთ, მისი საშუალებით, ჩვენი შინაგანი ემოცია გავუზიაროთ სამყაროს. რაც შეეხება ხელმისაწვდომობას ღირებულების მხრივ, ნამდვილად მისაღებია ფასები, გარდა ამისა, ჩვენი სერვისი სახლში მიტანასაც გულისხმობს, რაც მომხმარებელს უზოგავს ხარჯსაც და საკმაოდ ხელსაყრელი და კომფორტულია მისთვის. ვფიქრობ, გარკვეულწილად, ამანაც განაპირობა ჩანთებზე მოთხოვნილების ზრდა.

- ამჟამად რა ეტაპზე ხართ?

მარიამი:

–ამჟამად განვითრების ეტაპზე ვართ. სულ ვამბობ, რომ "მაისუ" ჩემი შვილია და სულ ვადარებ ადამიანს, მის ხასიათს. ვფიქრობ, "მაისუ" ბაღში მივიყვანეთ და ახლა პირველ ნაბიჯებს დგამს ახალ სამყაროში. გავიარეთ პირველი ეტაპი და მომხარებელს ვაჩვენეთ, რომ ნამდვილად ხარისხიან პროდუქტს ვქმნით. ახლა ვიწყებთ ახალ ეტაპს რომლის დროსაც უნდა დავამტკიცოთ, რომ ვართ ნამდვილად მრავალფეროვნები და მუდმივად ვვითარდებით .

- მომხმარებლის შეფასებები როგორია და თუ ითვალისწინებთ?

მანჩო:

–მომხმარებლის მხრიდან ყოველთვის თბილი და სასიამოვნო შეფასებები გვაქვს . ყოველთვის მზად ვართ რჩევების მისაღებად და მაქსიმალურად ვცდილობთ მათ გათვალისწინებას. მაგალითად, არ გვქონდა ყვითელი ფერის ჩანთები და რამდენიმე მომხმარებელმა გვირჩია დაგვემატებინა და უახლეს კოლექციაში იხილავთ ყვითელ ჩანთებს. ასევე შემოგვთვაზეს ზომის გადიდება ზაფხულის კოლექციებში და რასაკვირველია, ზაფხულისთვის შემოგთვაზებთ ულამაზეს დიდი ზომის ჩანთებს ზღვისთვის. წინ უამრავი სიახლე გელოდებათ, დავამატებთ სხვადასხვა ზომისა და სტილის ჩანთებს, ვგეგმავთ სახელოსნოს გახსნას და გუნდის წევრების დამატებას, წინ დიდ სიახლეები გველის.

- როგორ ფიქრობთ, გაამართლა თქვენმა საქმემ?

მარიამი:

–სულ ვფიქრობ გაამართლა თუ არა, მაგრამ ალბათ, როცა ამდენ თბილ შეტყობინებას, კომენტარს, შეფასებას იღებ მომხმარებლისგან, ერთი და იგივე ადამიანი სხვადასხვა ფერის რამდენიმე ნივთს გიკვეთავს და მოუთმენლად ელოდება ახალ კოლექციას, შეიძლება ითქვას, რომ გაამართლა. ჩემი აზრით, არ არსებობს საქმე, რომელსაც მთელი ძალისხმევით დაიწყებ, მთელ ენერგიას და შრომას ჩადებ, შეიყვარებ და არ გაამართლოს-ყველაფერი სურვილებიდან და შრომისმოყვარეობიდან მოდის!

თ. ჯავახიშვილი

D

გიწვევთ ტრენინგზე!

არასამთავრობო ორგანიზაცია " ხაშურის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა კავშირი" ახორციელებს პროექტს "სამოქალაქო განათლება-აქტიური ამომრჩეველი". პროექტის ფარგლებში, 29 ოქტომბერს, დაიწყება ტრენინგი საარჩევნო, გენდერული და სახელმწიფო მოწყობის საკითხებზე. ტრენინგები თითოეული ჯგუფისთვის ოთხდღიანია. ტრენინგები გაგრძელდება 22 ნოემბრამდე და გაიცემა სერთიფიკატები.

ტრენინგი ჩატარდება ხაშურის საოლქო-საარჩევნო კომისიის ოფისში (ხაშური, კოსტავას ქ№7).

მსურველები (18 წლიდან) დაგვიკავშირდით ტელეფონზე 551 410 150 ან ელ.ფოსტაზე: mindiaqurdadze@gmail.com

მინდია ქურდაძე, პროექტის მენეჯერი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.